საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 1 21 0000805785

19/08/2021

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს №11ოქმის N1 საოქმო დადგენილებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (13.08.2021; N792658) საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021-2022 სასწავლო წელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაიწყოს 2021 წლის 04 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს:

- **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) I სემესტრი დაიწყოს 2021 წლის 04 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 14 თებერვალს;
ბ) II სემესტრი დაიწყოს 2022 წლის 28 თებერვალს და დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს;

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2022 წლის 17 იანვარს და დასრულდეს 2022 წლის 30 იანვარს;
ა)[1] დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 28 იანვრიდან 2021 წლის 10 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2022 წლის 13 ივნისიდან და დასრულდეს 2022 წლის 26 ივნისს;
ბ)[1] დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 24 ივნისიდან 2022 წლის 7 ივლისის ჩათვლით;

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2022 წლის 15 თებერვლიდან და დასრულდეს 2022 წლის 27 თებერვალს;

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. 2021-2022 სასწავლო წელი დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;
6. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ა. მოსიაშვილს);
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი